



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030444179594517

04-698/ო

25 / სექტემბერი / 2017 წ.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული შემოწმების შედეგების აღრიცხვისა და რეგისტრაციის პირობების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ და ყოველწლიური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში (შემდგომში-პროგრამები), მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების კონტროლის/შემოწმების შედეგების თაობაზე გაფორმებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (შემდგომში-კონტროლის/შემოწმების აქტი) სისტემატიზებული აღრიცხვა-რეგისტრაციის მიზნით, პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების ზედამხედველობის შესაბამისი ეტაპის (კონტროლი) სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების კონტროლის სამმართველომ (მ. ამირეჯიბი) უზრუნველყოს:

ა) კონტროლის/შემოწმების აქტების აღრიცხვა-რეგისტრაცია ამ ბრძანების შესაბამისად, ელექტრონულად და/ან მატერიალური ფორმით;

ბ) პროგრამების ფარგლებში სათანადოდ გაფორმებული აქტების და თანხმლები მასალების, მათ შორის, აქტებში განხორციელებული ცვლილებების, ცალკე საქმეებად, სამმართველოში დაცულობა, გაფორმების (ბოლოს განხორციელებული ცვლილების) წლიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში და შემდგომში, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, შიდაუწყებრივი არქივისათვის გადაცემა.

2. კონტროლის/შემოწმების აქტების აღრიცხვა-რეგისტრაცია განხორციელდეს სააგენტოს დოკუმენტბრუნვის მართვის ელექტრონული სისტემისაგან დამოუკიდებლად.

3. კონტროლის/შემოწმების აქტის სარეგისტრაციო ნომერი, შესაბამისი რიგითობით და „/“ სიმბოლოს გამოყენებით (მაგალითი: აქტი N2017/22/09 ან N2017/22/09/02 (თუ ეს უკანასკნელი კონკრეტულ თარიღში გაფორმებული რიგით მე-2 აქტია), უნდა მოიცავდეს:

ა) აქტის გაფორმების წელს;

ბ) აქტის გაფორმების დღეს;

გ) აქტის გაფორმების თვის;

დ) აქტის რიგით ნომერს (ერთსა და იმავე თარიღით რამდენიმე აქტის გაფორმების შემთხვევაში).

4. ამ ბრძანებით გათვალისწინებული პირობები გავრცელდეს კონტროლის/შემოწმების იმ აქტების მიმართ, რომელთა გაფორმება განხორციელდება ან დასრულდება 2017 წლის 30 სექტემბრის შემდგომ პერიოდში.

5. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

6. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანებისა და მისი დანართის სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გაგზავნა.

7. ბრძანების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა (პ. ცაძიკიძე).

8. ცნობად იქნეს მიღებული რომ ამ ბრძანების ამოქმედებამდე კონტროლის/შემოწმების აქტებისათვის მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, უნიკალურობისა და ვალიდურობის მიუხედავად, შესაძლებელია არ შეესაბამებოდეს სხვადასხვა მიმწოდებელთან კონტროლის/შემოწმების დასრულება-გაფორმების რიგითობას.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე